№ 183 აგვისტო 23, შაბათი 1886 აგვისტო 23, შაბათი № 183

გაზეთი ღირს

თთვე	მან. კ.	თთვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	7 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურსა დკრიჟეროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1886 წელიწადი

ახალი

სასწავლებელი და პანსიონი

გ. ნ-მის იოსელიანისა და ი. რ. მრევლიშვილისა.

იღებენ ყმაწვილებს მოსამზადებლად ყოველ საშუალ სასწავლებლებში.

ვარანცოვის ხიდის პირდა-პირ, ნიკოლაევის ქუჩა. თ. გრუზინსკის სახლი № 21.

(5—2)

ტფილისი, 22 აგვისტო

უკანასკნელი დეპეშა, ჩვენს გაზეთში უკვე დაბეჭდილი, მრავალგვარად შესანიშნავია და საგულისხმიერო. ამ დეპეშიდამა სჩანს, რომ ალექსანდრე მთავარი დაბრუნებულა განსაკუთრებულის სურვილით, კვლავ იმთავროს ბოლგარიაში. იმ გარემოებიდამ, რომ დაბრუნების ჟამს სხვათა შორის დაჰხვედრია რუსეთის წარმომადგენელიცა, ალექსანდრე მთავარს გამოუყვანია ვითომც ხელმწიფე იმპერატორს არ უნებებია შეწყნარება მთავრის ტახტიდამ გადაყენების საქმისა. ამის გამო ალექსანდრე მთავარი დიდის მოწიწებით მოვალედა ჰრაცხს თავის-თავს თვისი უმდაბლესი მადლობა მოახსენოს ხელმწიფე იმპერატორსა და არა ჰზოგავს სიტყვას, რომ დაამტკიცოს თვისი მზად-ყოფა ხელმწიფე იმპერატორის ერთგულებისათვის. ალექსანდრე მთავარი ევედრება მის იმპერატორის უდიდებულესობას, უბძანეთ თქვენ მიერ გამოგზავნილს თავად დოლგორუკოვსაო, რაც შეიძლება მალე, მომელაპარაკოს საქმის დასაბოლოვებლადაო. მზადა ვარ, თქვენგან ბოძებული გვირგვინიო, ამბობს დასასრულ ალექსანდრე მთავარი: თქვენვე მოგართვათო, ოღონდ მიბოძეთ შემთხვევა იმ ბედნიერებისაო, რომ დაგიმტკიცოთ ჩემი უცვალებელი ერთგულებაო. აი აზრი იმ დეპეშისა, რომელიც მიჰრთმევია ხელმწიფე იმპერატორს ალექსანდრე მთავრისაგან.

რომ ალექსანდრე მთავარი ასე მოიქცა ამ გაჭირების დროს, ეგ საკვირველი არ არის. სჩანს, რომაცა მივიდა ბოლგარიაში და თვალი დააკვირვა იქაურს მოძრაობას, ჰნახა, რუსეთის მომხრე დასი იმოდენად ძლიერია, რომ უიმისოდ მისი ხელ-ახლად ტახტზედ ასვლა და ტახტზედ სამუდამოდ ფეხის მოკიდება მეტად ძნელი საქმეა. ესეც შესაძლოა ვიფიქროთ, რომ წარსულმა და აწმყო მოქმედებამ სხვათა სახელმწიფოთამან დაარწმუნა ალექსანდრე მთავარი, რომ ურუსეთოდ ვერც მისი საკუთარი სვებედი და ვერც ბედნიერება მისის ერისა საიმედო არ არის და მტკიცე ნიადაგზედ არა სდგას. ამიტომაც საჭიროდ დაინახა ისევ რუსეთისათვის მიემართა და რუსეთის იმპერატორის სულ-გრძელებას შეჰფარვოდა. შესაძლოა ყოველივე ეს მოეხდინა იმიტომაც, რომ სხვამ რომელმამე სახელმწიფომ ურჩია იმ განზრახვით, რომ ვნახოთ, რა გამოვა რისაგანაო, იქნება რუსეთმა კვლავ შეგიწყნაროსო.

ასეა თუ ისე, სურვილი ალექსანდრე მთავარს და მის მრჩეველს გაუცუდდათ. მისმა იმპერატორებითმა უდიდებულესობამ მოკლედ მოჭრილი და გადაწყვეტილი უარი უბძანა ალექსანდრე მთავარსა. მე არ შემიძლიან შევიწყნარო თქვენი უკან დაბრუნებაო, ბძანა ხელმწიფე იმპერატორმა: მე წინადვე ვხედავ სამწუხარო შედეგს იმ განსაცდელისას, რომელშიაც დღეს ბოლგარია არის ჩავარდნილი. ამიტომაც მოციქულობა თავადის დოლგორუკოვისა უადგილო და უდროვო არისო. ვიდრე თქვენ მანდა ხართო, თქვენი საქმე თქვენ იურვეთო, ხოლო მე თვალ-წინ მიდგა ჩემის მშობლის ღირს სახსოვარი სურვილი, ჩემის ქვეყნის სიკეთე და აღმოსავლეთის მშვიდობიანობა და ყოველს ამას მე თვითონ საკუთრივ განვსჯიო.

ეს მტკიცედ და მოჭრით ნაბძანები მორჭმული სიტყვა ხელმწიფე იმპერატორისა მთელს ევროპას თვალის დახამხამების უმალ შემოირბენს და მთელს რუსეთს აღავსებს სიხარულითა. დიდი ხანია რუსეთი ამისთანა პირ-და-პირ მჭრელს სიტყვას ელოდდა, დიდი ხანია ამისთანა სიტყვას ჰნატრულობდა რუსეთის საზოგადოების აზრი ჟურნალ-გაზეთობის პირითა და აი დრომ მოიტანა და ეს მძლავრი სიტყვა დღეს უმაღლესად წარმოითქვა. ვიმეორებთ,— მთელი რუსეთი აღტაცებით მიეგებება ამ უმაღლესად ბძანებულს სიტყვას.

ხელმწიფე იმპერატორის ნაბძანებ სიტყვებიდამ სჩანს, რომ მის უდიდებულესობას უნებებია რუსეთი დაუმოკიდებელ პოლიტიკის გზაზედ დააყენოს და ყოველივე მარტო მის სიკეთეს და ერთობ ევროპის მშვიდობიანობას დაუმორჩილოს,—ეს დაუმოკიდებელი პოლიტიკა, რომლის მაგალითებიც არა ერთი და ორი იყო ამ უკანასკნელ ხანებში, როგორთაც არ მოსწონთ ევროპაში. ვინ იცის: იქნება ეს მინისტრების ერთმანეთთან სიარული, იმპერატორების მიერ ერთმანეთის ნახვა ამ პოლიტიკის ზარის მიზეზითაც მოხდა, იმიტომ რომ ამ პოლიტიკის ნიშნები, როგორც ვსთქვით, წინადაც იყო. მაინც და მაინც ხელმწიფე იმპერატორის პასუხი დიდს ზედმოქმედებას იქონიებს ევროპაში და ბევრს სჯასა და ბაასს გამოიწვევს საგულის-ხმიეროს.

ახალი ამბავი

*** ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლაში ეგზამენები ამ თთვის, აგვისტოს 25-ს, დაიწყობაო.

*** 23 აგვისტოს გათავდება მისაღები ეგზემენიები კადეტის კორპუსში; მსურველნი არიან ას ოცამდე, ვაკანცია კი სამოცამდეაო. წელსაც, როგორც კვლავაც, სასწავლებლებში შესვლის მსურველნი ბევრნი არიან, მაგრამ ადგილის უქონლობისა გამო საბრალო ყმაწვილები რჩებიან. თუმცა შარშან პროგიმნაზია გახსნეს, მაგრამ, როგორც ჰხედავთ, არა ჰყოფნის ხალხსა. ყველა სასწავლებლების კარებზე შენიშნავთ აუარებელს მთხოვნელებს, მშობლებს შვილებით, მაგრამ ხელცარიელნი ბრუნდებიან. არც ერთს სასწავლებელში იმდენი ადგილი არ არის, რომ ნახევარი მაინც მიიღონ ურიცხვს მთხოვნელებში.

*** ტფილისის ქუჩებში გამართული სანაგვე ორმოები; ამასთანავე

ფელეტონი

უცხოთა შორის

რაშია ნამდვილი ბედნიერება და სიმდიდრე კაცისა.—მამულის უკეთესი შვილი.—პოლ დერულედი, საფრანგეთის ერთი საუკეთესო შვილი.—დერულედის ცხოვრება.—დერულედი-ყმაწვილი, დერულედი-ვექილი, დერულედი-ორატორი, პოეტი და დერულედი-ჯარის-კაცი.— დერულედი ციხეში.—ღირსეულის დედის ღირსეული შვილები.—პატრიოტული საზოგადოება.—დერულედის თავისებური თავ-მოყვარეობა.

ბედნიერია ის კაცი, რომელსაც მადლი ღვთისა უღვივის გულში, რომელსაც მაღალი სული აქვს მინიჭებული, რომელსაც ეს მადლით მომადლებული ნიჭი არ ჩაუმარხავს მიწაში, „ვითარცა მონასა მას ზარმაცსა“! და უფრო ბედნიერი და სამაგალითოა ამისთანა კაცი, თუ ის ამ მომადლებულს ნიჭს, ამ სულიერს ძალას საქვეყნო საქმეს ახმარებს და არა თავის საკუთარს სარგებლობას. თუ მას უგრძვნია ქვეყნის ტკივილი, თუ მას ეს ტკივილი დაუსახავს თავის ცხოვრების საგნად და მთელს თავის სიცოცხლეს იმას ანდომებს, რომ ამ ტკივილს რაიმე შვება მისცეს, რაიმე წამალი დასდოს.

ამისთანა კაცს თამამად შეუძლიან სთქვას: ვიყავ ქვეყნადაო,—და ქვეყანას რაიმე ვარგე; ცხოვრება განვლიე,—და ცოცხალივე მკვდარს არ დაემგზავსე; უსასყიდლოდ ვიღწოდი,—და სიმდიდრე კი დიდი შევიძინე, ის სიმდიდრე, რომელსაც არა ქვეყნიური სიმდიდრე და სიკეთე არ შეედრება,—შევიძინე დიდება, უკვდავი სახელი და მადლობა ქვეყნისა.

ამისთანა კაცს შეუძლიან სთქვას: —მე ვარ ერთი საუკეთესო შვილი სამშობლოსი,—და სამშობლოც უარს არ ეტყვის.

ასევე შეუძლიან სთქვას პოლ დერულედმა:

— მე ვარ ერთი საუკეთესო შვილი საფრანგეთისაო,—და საფრანგეთიც უარს არ ეტყვის.

ვინ არის ეს პოლ დერულედი?— ამის ცხოვრების აღწერა გვეტყვის ამასა.

⁂

პოლ დერულედი ღვიძლი შვილია პარიჟისა. დაიბადა 2-ს სექტემბერს 1846 წელსა. ამის მამა არც ძალიან მდიდარი იყო, არც ძალიან ღარიბი. პარიჟის უმაღლესს სასამართლოში ვექილად მსახურობდა და ამით აცხოვრებდა თავის სახლობას. პოლი პირველი შვილი იყო. მამას ჰსურდა, თავის პირველი შვილი გამოჩენილ, განთქმულ ვექილად გამოეყვანა და ამიტომ, როცა ყმაწვილი მოიზარდა, ამ გზაზედაც დააყენა.

ექვსის წლისა იყო პოლი, როცა სასწავლებელში მიაბარეს. პოლმა რამდენიმე სასწავლებელი გაიარა, სადაც უფრო სამოსამართლო საგნებს აქცევდნენ დიდს ყურადღებას. ბოლოს ახალ-გაზდა დერულედი მიაბარეს ერთს მოხუცს პროფესორს, რომ სამოსამართლო საგნები უფრო უკეთ ესწავლა.

პოლ დერულედმა სწავლა შეასრულა. მამას წადილი და ნატვრა აუსრულდა: შვილი კარგი მოლაპარაკე და საქმის მცოდნე ვექილი გამოვიდა. ამასთან ახალ-გაზდა ვექილმა ისეთი მჭევრ-მეტყველობა, ძლიერი ენა და საორატორო ნიჭი გამოიჩინა, რომ უნებლიედ იტაცებდა მსმენელთ და იპყრობდა ყურადღებას. ერთის სიტყვით, დერულედს შეეძლო თავი ესახელნა, სახელი განეთქვა მთელს საფრანგეთში, როგორც ერთს საუკეთესო ვექილს და ნიჭიერ ორატორს. მაგრამ დერულედი გულით ვერ ეძლეოდა ამ საქმეს, სულ სხვა იზიდავდა მის სულსა და გულსა, სულ სხვა გრძნობა აღელვებდა, სულ სხვა ფიქრი აღფრთოვანებდა.

ჯერ ისევ სასწავლებელში იყო დერულედი, რომ ლექსების წერა და ბეჭდვა დაიწყო და რომ მამისთვის არ ეწყენინებინა, გამოცვლილ სახელს აწერდა თავის ნაწარმოებსა. ეხლა, რასაკვირველია, დამშლელი აღარავინა ჰყვანდა და მწერლობამ სრულიად გაიტაცა. მწერლობა იყო მისი ბუნებითი მოთხოვნილება, მისი საყვარელი საქმე და ეს საქმე სხვა ყველაფერს საქმეს სრულიად აეწყებდა.

მხოლოდ ერთი გრძნობა იყო კიდევ, რომელსაც ისე მაგრად გაედგა ფესვი დერულედის გულში და ისე შეეპყრო მთელი მისი არსება, რომ ვერც ეს ძლიერი და აღტაცებული სიყვარული მწერლობისა ვერ სძლევდა. ეს გრძნობა იყო მამულის სიყვარული, თავ-განწირული და მხურვალე სიყვარულიცა.

ეს გრძნობა თვით მშობლებმა ყმაწვილობასვე ჩაუსახეს და აღუზარდეს დერულედს გულში. დერულედის დედ-მამა გულ-მოდგინე და მხურვალე მამულის შვილნი იყვნენ და სცდილობდნენ თავიანთი შვილებიც ასეთ ერთგულ მამულის შვილებად აღეზარდათ. მეტადრე ერთს წიგნს უკითხავდნენ ხოლმე ხშირად თავიანთ შვილებს. პატარა პოლი სმენად გადიქცეოდა, როცა ამ წიგნის კითხვას დაიწყებდნენ, გული უღელავდა და თავში ათას-გვარი ფიქრი გაურბენდა ხოლმე. ეს წიგნი იყო «საფრანგეთის ისტორია». კეთილი თესლი კარგს ნიადაგზე დაეცა.

რა ნაყოფი მოიტანა ამ თესლმა, რა აზრები აღძრა ნორჩს გონებაში, რა გრძნობა ჩანერგა პატარა პოლის გულში ამ წიგნმა,—ამას დერულედის შემდეგი ცხოვრება გვიჩვენებს.

⁂

დერულედმა ვექილობას თითქმის თავი მიანება. მწერლობამ გაიტაცა, და მწერლობაში ჩქარა სახელიც გაითქვა, როგორც ნიჭიერმა პოეტმა. ხოლო დადგა 1870 წელი, ის წელი, რომლის ერთი გახსენებაც კი გულსა სწყვეტს საფრანგეთის უკეთესს შვილებს, ის წელი, რომლის ჭრილობა დღესაც არ გაჰმთელებია საფრანგეთს და ჭრილობის ტკივილი ჯერაც არ დასცხრომია. ეს ის წელია, როდესაც გერმანიამ გაიმარჯვა და საფრანგეთი სამარცხვინოდ დამარცხდა. საფრანგეთს გულში ღრმად ჩაეჭრა ეს სირცხვილი და ესეთი დამცირება დღესაც გულიდამ ვერ ამოუღია.

გაისმა თუ არა საფრანგეთში ხმა, რომ ნემეცები იმარჯვებენო, მთელი საფრანგეთი შეიძრა და უკეთესმა მამულის შვილებმა თოფ-იარაღს მოჰკიდეს ხელი. პოლ დერულედი, რასაკვირველია, პირველი იყო: დერულედმა მაშინვე მწერლობას ზურგი შეუქცია და თუმცა გული არ ჰნებდებოდა, მაგრამ მაინც კალამი დაუყოვნებლივ თოფზე გასცვალა. დერულედი ჩაეწერა ზუავების რაზმში, ზუავებისა, რომელნიც მთელს ევროპაში განთქმულნი არიან თავის მამაცობით.

⁂

აქ ერთი ამბავი მოხდა, რომელიც ძველ რომაელების და ბერძნების სახელოვანს, მარადსანატრელს დედათა მოგვაგონებს. იმ ადგილას, სადაც ზუა-

ორმოებია ნიაღვრებისათვის; ორმოები დახურულია ხის ბადიმებით და ზოგან რკინითა; მაგრამ ზოგ ალაგას ბადიმები ჩამტვრეულია, ორმოდამ საშინელი სუნი სცემს ზემოდ და ღამეც საშიშია სიარული.

⁂ ბორჯომიდამ გვწერენ: «18-ს აგვისტოს, 7 საათზედ, ჩამობძანდნენ დიდნი მთავარნი ნიკოლოზ და გიორგი მიხაილის ძენი და პეტრე ნიკოლოზის ძე. მათ ახლავთ გენერალ-მაიორი პეტერსი, პოლკოვნიკი ტოლსტოი, ექიმი ნიკიტინი და სეკრეტარი მისის უმაღლესობის ნიკოლოზ მიხაილის ძისა სივერსი. ამ დღეებში მათნი უმაღლესობანი ბორჯომის ახლო-მახლო წაბძანდნენ სანადიროდ. მიპატიჟებულნი არიან სანადიროდ სამეგრელოს მთავართან. იქიდამ ისევ ბორჯომში დაბრუნდებიან და ერთს თთვემდინ დარჩებიანო.

დიდ-ძალი ხალხი დაუხვდა მათ უმაღლესობათა მობრძანების დროსაო.

⁂ იქიდამვე გვატყობინებენ, რომ ბორჯომში კარგი დარები დადგაო; აგარად გამოსული ხალხიც ბევრიაო, ზოგნი კიდეც წამოვიდნენ, მაგრამ ამათ ნაცვლად ამ ჟამად სხვა-და-სხვა ადგილებიდამ ბევრი ხალხი მოვიდაო.

⁂ იმერეთიდამ გვწერენ, რომ ამ გავლილ თთვეებში გვალვამ ძალიან შეაწუხა ქუთაისის გუბერნია. ზემო იმერეთში ვენახები კვლავინდებურად ვერ არის. ვაკე იმერეთში, სამეგრელოში და აფხაზეთში კარგი ყანებიაო. ამ თთვის ოცსა ლაზათიანი წვიმა მოვიდაო; რაც ქარებმა დააკლეს ყანებს, ამ მშვენიერმა ჟუჟუნა წვიმამ შეჰმატაო.

⁂ ქუთაისიდამ გვწერენ: «ზოგიერთი ქუჩები ისე გაფუჭებული და დალორო-ჩოლროვებულია, რომ კაცს არ გაევლება, დარში იმიტომ, რომ მუხლზე სარევი მტვერიო და ავდარში იმიტომ, რომ გუბეები სდგებაო. ზოგჯერ ისე დაგუბდება ხოლმე წყალიო, რომ ქუჩის ერთის ნაპირიდამ მეორეზე გადასვლა გაძნელდება ხოლმეო. ხშირად მცხოვრებლებს სახლებში შეუვარდებათ; მცხოვრებლებიც ქუჩის პირს სთხრიან, აგუბებენ უფრო წყალს, რომ ეზოში არ შეუვარდეთ და ამის გამო ქუჩა უფრო ღრმავდება და ფუჭდებაო.

⁂ გუშინ, 21-ს აგვისტოს, ქართველთა მილიციის ბარგი ჩამოუტანიათ და დღეს, 22-ს აგვისტოს, თვით მილიცია ჩამოვა ტფილისშიო, რადგანაც აღლუმზე უნდა დაესწრნენო.

⁂ სავაჭრო სახლს თავად ზ. ა. ჯორჯაძისას და კომ. განუზრახავს, დიდ-ძალი ღვინოები იქონიოს ტფილისში. ამ ღვინოებისათვის სარდაფები სულ სხვა წესით იქნება დამართულიო და ღვინოებსაც ისე დააყენებენ, როგორც მეცნიერება მოითხოვსო. ამ განზრახვით ამხანაგობა ტფილისის რკინის გზის სადგურს ახლო აშენებს დიდს საწყობს ღვინოებისას ქალაქის გამგეობის მიერ დამტკიცებულის გეგმით. რადგან ღვინის საწყობი შორს იქმნება ღვინის კანტორაზე, რომელსაც შუა ქალაქში გამართავენ, ამიტომ ამხანაგობის რწმუნებული შუამდგომელობს, რომ ნება მისცენ ტელეფონი გაიყვანოს კანტორიდგან საწყობამდეო. („კავკაზი“)

⁂ სხვა-და-სხვა სასწავლებელთა უფროსთ შეუნიშნავთ, რომ ზოგიერთი მოსწავლენი დროს ატარებენ სხვა-და-სხვა გასართობს ბაღებში მარტონი და ხშირად შუაღამამდე და შუაღამის შემდეგაც იქ იმყოფებიანო. რადგანაც ამ გვარი დროს გატარება და ქეიფი მოსწავლეზე ცუდადა მოქმედობს, ამიტომ ამ სასწავლებელთა უფროსთ დაუდგენიათ, რომ ყოველდღე დანიშნულს საათზედ აღმზრდელებმა მოიარონ ზემო-ხსენებული ბაღები და აუკრძალონ მცირე-წლოვან მოსწავლეთ იქ ყოფნაო. („ნოვ. ობოზ.“)

⁂ მეტეხის ციხეში ამ ჟამად აუშენებიათ ცალკე განყოფილება მცირე-წლოვან დამნაშავეთათვის. ამ განყოფილებასთან გამართულია აგრეთვე პირველ-დაწყებითი სასწავლებელი და სამკურნალო. 5 სექტემბერს აკურთხებენ ამ ახალ შენობას, რომელიც ტფილისის ციხეთა მზრუნველ კომიტეტის საქალებო განყოფილების ხარჯით არის აშენებული. («ნოვ. ობოზ.»)

⁂ მეტეხის ციხეში, ამავე გაზეთის სიტყვით, ამ დღეებში გაუმართავთ პურის საცხობი ტუსაღებისთვის, რომელიც დღეში 40 ფუთამდე პურს აცხობს. იქვე გაუმართავთ წყლის ამოსაყვანი მაშინა, რომელიც 1,000 ვედრამდე წყალს იძლევა ყოველდღეო. წყლის ამოსაყვანი მაშინა იმიტომ გაუმართავთ, რომ მარტო ტუსაღებზე წელიწადში 500 მანათის წყალი იხარჯებოდა თურმე.

⁂ გაზ. «ტფ. ფურც.» ამბობს, რომ „ტრამვაის“ პატრონმა, ლორთქიფანიძემ იყიდა ჩითახოვისაგან მიწა, რომელიც მუშტაიდის ბაღის გვერდზეა და მერმისს გაზაფხულს განზრახვა აქვს, დიდი ქვის შენობა ააგოს საერო თეატრის გასამართავადაო.

⁂ ამავე გაზეთის სიტყვით, ამ დღეებში მცხეთაში დამწვარა თიხის ჭურჭლის ქარხანა. ცეცხლს დიდი ზარალი მიუცია ქარხნის მეპატრონესათვისაო.

შეცდომის გასწორება: „ივერიის“ № 182-ში, „დეპეშაში“—4-ხე გვერდზე, 2-რე სვეტში, ზემოდამ 33 სტრიქონში, დაბეჭდილია: „განთქმულმა დედა-აზრმა“... უნდა იყოს: «მონარქიულმა დედა-აზრმა»...

დამაკვირდი!

თავაზა და თავაზიანობა კოკორია სათნოების ყვავილისა. (ლეგ. ხ.)

**

ცუდად მოხმარებული დღე დაკარგული დღეა. (დე ხტუმე)

**

თავს თავიდამ გაუფრთხილდი,
არსად უგუ-აგდო ჭირში,
თორემ ბოლოს არას გარგებს
სიმწუხარით კვნესა-ვიში.
(დ. გურამიშვილი)

**

ბაგეს ნუ გახლეჩ სათქმელად,
თაფლი ზედ თუმცა გესხნესა,
სიფრთხილე გიჯობს: ნუ თუმცა,
კედელთა ყურნი ესხნესა!
(მეფე ვახტანგ VI)

**

ასი ათასსა აჯობებს,
თუ გამორჩევით მქნელია. (შ. რუსთაველი)

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფ. უწერა (რაჭის მაზრა) 24 ივლისს. უწერა პატარა სოფელია, შეკუნჭული ორს უზარ-მაზარს კავკასიის მთების კალთებ შუა, ათს ვერსტზედ დ. ონიდამ. ზედ უწერაზედ გადის გვარიანი გზა-ტკეცილი, რომელიც გადადის მთებზედ და მიემართება კავკასიისაკენ. ეს ის გზა-ტკეცილი გახლავთ, რომელიც იწყება ქუთაისს, მიიკლაკნება რიონის მარჯვენა ნაპირზე და მიდის კავკასიის მთების ძირამდის. ამ გზით შეიძლება უწერას ასვლა ფაეტონით, თუმცა დიდის სიფრთხილით-კი. ფაეტონითვე ადიან სოფ. გლოლამდინაც, რომელიც მდებარეობს უწერის ზემოდ 12 ვერსტზედ. აქედამ კი კავკავისკენ შეიძლება სიარული მხოლოდ ურმით და ცხენით.

უწერის წყლების სამკურნალო თვისებას არ შევეხები, რადგან ამაზედ არა ერთხელ დაუწერიათ ქართულს გაზეთებში. მოგახსენებთ მხოლოდ იმას, თუ რა ნაირს გაჭირვებაშია ჩავარდნილი უამისოდაც გაჭირვებული ავად-მყოფი უსადგურობით, შიმშილით და აბანოს უვარგისობით. ერთის სიტყვით, თავი გაწირული უნდა ჰქონდეს აქ მომსვლელს, განსაკუთრებით თუ რკინის წყლის აბანოებით მოელი შვებას. შედიხართ აბანოში: პატარა ოთახი, ბნელი, იატაკი ანგრეული, კედლები ფარღალალა, შიგ სუნი ისეთი, რომ ადამიანი ვერ წარმოიდგენს. მეორე სართულიდან, საცა დგანან ავად-მყოფები, ცვივა ნეხვი და თავზე ეყრება ადამიანს; მარცხნივ დგას დანგრეული ტახტი, მარჯვნივ—უხეიროდ გათლილი პატარა გეჯა, სიგძით საჟენი და სიგანით და სიმაღლით ნახევარი არშინი. უნდა მიიღო წამების გვირგვინი, უნდა ჩაძვრე გეჯაში.

რკინის წყალი აქვე თბება გარედ ქვაბებში. აქედან აბანოში ცხელი და ცივი წყალი ხის ღარებით მიდის. ამაზედ უარესად აბანოს მოწყობას, მგონი, ვერც ათის საუკუნის წინედ მოახერხებდნენ. სახლები არ არის ძვირი. თუმანია გადაწყვეტილი თითო ოთახის ფასი. ნეტავი ოთახებს გვანდნენ და ერთი-ორად და ერთი-სამად გააქირაონ. ხორაგი აქ არაფერი არ იშოვება, გარდა კარაქისა და ყველისა, რომელიც იაფია, კიდევ იშოვება ცხვრის ხორცი, რომელიც ორ აბაზად იყიდება ოყა.

ვების რაზმი იყო გაწყობილი, დერულედის დედა მოვიდა და თან თავისი უმცროსი შვილი მოიყვანა. «შვილო»,—მიუბრუნდა დედა თავის უფროსს შვილსა,—«შენ ძმას უნდა შენთან ერთად ომის განსაცდელი გამოიაროს. აი შენთან მომიყვანიაო.» დედას მეტი არა უთქვამს რა. ამ ნაირმა დედის გულის სიმაგრემ და თავგანწირულებამ თვით ზუავების ომებში გამოჯეჯგილი გულიც კი აატოკა.

ვის შეჰნატრო? დედას, რომ ამისთანა შვილები გაუზრდია მამულისათვის, თუ შვილებს, რომ ამისთანა ღირსეული დედა ჰყოლიათ?

⁂

ორივე ძმანი მამაცად და თავ-განწირულად იბრძოდნენ ნემეცების წინააღმდეგ. ერთს გაცხარებულს ომში პატარა ძმა ძრიელ დაიჭრა. დიდმა ძმამ მაშინვე ხელი სტაცა თავის დაჭრილს ძმას, გამოიყვანა ომის ცეცხლიდამ, სხვებს ჩააბარა და თითონ ისევ საომრად დაბრუნდა. ბედი იყო, თუ უბედობა, და დერულედი კი იმ ჯარში მოჰყვა, რომელიც ასე სამარცხვინოდ დამარცხდა სედანთან, სადაც მთელი ჯარი და თვით ნაპოლეონიც ნემეცებს ტყვედ ჩაუვარდათ ხელში.

დერულედი ნემეცებმა ტყვედ წაიყვანეს და ბრესლავის ციხეში ჩასვეს. დერულედი დიდს ხანს არ დარჩა ციხეში: როგორღაც მოახერხა, ციხიდამ გამოიქცა და ხელ-მეორედ ჯარში შევიდა, იმ ჯარში, რომელიც გამბეტას მოეგროვებინა და ნემეცებთან საომრად გამოეყვანა.

დერულედი ეხლა უფრო მეტის თავგანწირულობით ომობდა. თავის მამაცობით, მოხერხებით საყოველთაო ყურადღება მიიქცია დერულედმა. სამხედრო მთავრობას უნდოდა დაესაჩუქრებინა დერულედი, როგორც ერთი უკეთესი მეომარი. თვით გამბეტამ შენიშნა დერულედის მამაცობა და უნდოდა პირ-და-პირ კაპიტნობა მიეცა, მაგრამ დერულედმა უარი სთქვა და არ ინდომა.

„ჯერ სულ ცოტა დრო გასულა, რაც მე ჯარში ვარ და ღირსი არა ვარ, ასე უცბად ასეთი დიდი ხარისხი მივიღოვო. ჩემთვის საკმაო იქნება, ჯარის კაცის პირველ დასაწყისი ხარისხიც რომ მომცენო.“

ამბობენ, თვით გამბეტასაც კი გაუკვირდა დერულედის ასეთი საქციელიო. ან კი ვის არ გააკვირვებს კაცის ასეთი უანგარობა ეხლანდელს დროში, როცა ხარისხების შესაძენად ასეთი აწი-ოწობაა.

⁂

გათავდა ომი ნემეცებთან. მშვიდობიანობა ჩამოვარდა. დერულედს უნდოდა ისევ თავის საქმეებს დაჰბრუნებოდა. მაგრამ აი ამ დროს დაიწყო პარიჟში საშინელი არეულობა, ასტყდა სასტიკი, საზარელი ბრძოლა მოქალაქეთა შორის. დერულედი თოფ-იარაღით ხელში ისევ ჯარში ჩადგა და თავ-გამომეტებით იბრძოდა მეამბოხეთა წინააღმდეგ.

აქ კი, ცოტა გაწყდა, დერულედის მოუსვენარ სიცოცხლეს კინაღამ ბოლო არ მოეღო. ერთის მუჭა ჯარით დერულედი უშიშრად გადავარდა დიდ ძალ მეამბოხეთა შუა-გულს გუნდში და ხმალ-და-ხმალ დაიწყო ომი. დერულედი თუმცა სიკვდილს გადურჩა, მაგრამ დაჭრით კი მძიმედ დაიჭრა.

დიდი ხანი ირჩინა დერულედმა თავი. ბოლოს როგორც იყო მორჩა. მაშინ ნემეცებთან ომი უკვე გათავებული იყო და შინ ამბოხებაც მოისპო. დერულედმა გადასწყვიტა, რომ მე ჩემი მოვალეობა, როგორც მამულის შვილმა, შევასრულეო და ამიტომ განიზრახა, სამხედრო სამსახურისთვის სრულიად თავი დაენებებინა და ისევ თავის საყვარელ საქმეს—მწერლობას მისცემოდა.

ასე ჰფიქრობდა დერულედი, ხოლო ასე არა ჰფიქრობდა იმ ჯარის უფროსი, სადაც დერულედი ჯარის კაცად ითვლებოდა. «თქვენ თითონ სთქვით ერთს თქვენ ლექსშიო»,—უთხრა უფროსმა დერულედს,—„რომ სამარცხვინო მშვიდობიანობა ომის ლოდინია. გულ-ხელ კრებით ყოფნა იმ დრომდე უნდა იყოს, მანამ დამარცხებული ერი ხელ-მეორედ ძალას მოიკრებსო.“

დერულედმა ვეღარა უთხრა-რა ჯარის უფროსსა. დარჩა სამხედრო სამსახურში. მაგრამ ექვსის წლის უკან კი ერთის შემთხვევის გამო დერულედს ძალა უნებურად უნდა სრულიად დაენებებინა თავი სამხედრო სამსახურისათვის. ერთხელ დერულედი ცხენიდამ გადმოვარდა და ფეხი ისე დაიმტვრია, რომ ჯარის კაცად სრულებით აღარ ვარგოდა.

დაუბრუნდა მაშინვე დერულედი ისევ მწერლობას და რამდენიმე მშვენიერი თხზულება შესძინა საფრანგეთის ლიტერატურას. ამ თხზულებებმა და მეტადრე «სამხედრო სამღერალებმა», რომელიც ჯარში სამსახურის დროს დაეწერა, დიდი სახელი განუთქვეს საფრანგეთში დერულედს და ეხლა თითქმის პირველ მწერლად ითვლება.

⁂

დერულედი თუმცა გულ-მხურვალებით ეძლევა მწერლობას, მაგრამ იმის დაუცხრომელს, აღტაცებულს ბუნებას ახლა მწერლობაც აღარ აკმაყოფილებს. დერულედს ნემეცების გამარჯვების შემდეგ, სამშობლოს დამარცხება და დამცირება მოსვენებას არ აძლევს. ის ეხლა ერთის ფიქრით და სურვილით არის შეპყრობილი: უნდა გერმანიის ჯავრი ამოიყაროს, ნემეცებს დამარცხებისთვის სამაგიერო გადაუხადოს და საფრანგეთს სირცხვილი აჰხადოს.

ამის გულისთვის დერულედმა დაარსა «პატრიოტული საზოგადოება», ან ესრედ-წოდებული „სანაციონალო ლიგა“. ეს საზოგადოება დღითი-დღე მატულობს, ვრცელდება და ეხლა ამ საზოგადოების წევრნი მთელ საფრანგეთში არიან მოფენილნი. ამ საზოგადოების უმთავრესი სურვილი ის არის, რომ ფეხზე წამოაყენოს საფრანგეთი, ნემეცებთან საომრად სული ჩაუდგას საფრანგეთის შვილებსა და ხელ-ახლად დაუბრუნოს საფრანგეთს ის პროვინციები, რომელიც გერმანიამ წაართო 1870 წელსა.

თავს-მჯდომარე და სულის ჩამდგმელი ამ საზოგადოებისა, რასაკვირველია, დერულედია. საზოგადოებას ყოველ-წლივ საერთო კრება აქვს ხოლმე. და როდესაც დერულედი ამ კრებაზე თავის მძლავრ და მჭევრ სიტყვას წარმოსთქვამს, ბერლინში შიშის ზარი დაეცემათ ხოლმე.

⁂

საკვირველია კიდევ ერთი თვისება დერულედისა. გეგონებათ, ამ კაცს პატივ-მოყვარეობა სრულიად არა აქვსო. ამისთანა მძლავრის სიტყვის და მჭევრ-მეტყველ ენის პატრონი აქამდინ პირველი კაცი იქნებოდა სახელმწიფოში თუ კი მოინდომებდა. რამდენჯერ უთქვამთ დერულედისთვის თვით ამის მეგობრებს: პარლამენტში წევრად ამოგირჩევთო. დერულედი ამაზე ყოველთვის ერთს პასუხს აძლევს:

„რისთვის? პატივ-მოყვარეობისთვის? მე პატივ-მოყვარეობა არა მაქვს. არა, თუ გნებავთ, პატივ-მოყვარეობაცა მაქვს, მხოლოდ ჩემებური, უცნაური-კი: მე მინდა ქალაქ სტრასბურგის წარმომადგენლად ვიყო საფრანგეთის პარლამენტშიო“, მითამ-და იმ პროვინციის წარმომადგენლადაო, რომელიც გერმანიამ წაართო საფრანგეთსა.

ასეა გატაცებული პოლ დერულედი ერთის აზრით, სამშობლოს სამსახურით და ამ სამსახურისთვის ყველაფერი დავიწყებული აქვს ქვეყანაზედ. მისი სახსოვარი და სიცოცხლე მხოლოდ საფრანგეთია!..

დონ-იაგო

უმეტესი ნაწილი ავად მყოფებისა მოდიან აქ მჟავე წყლის სასმელად. მჟავე წყალი გამოდის რიონს გაღმა კლდეში, სულ ნახევარ ვერსტის მანძილზედ რკინის წყლის აბანოდან. ამბობენ, რომ წყალი ეხლა მეტი გამოდის, მინამ წინა წლებშიო, მაგრამ იმისთანა აღარ არის, როგორც იყოო. ამის მიზეზი ის გარემოება უნდა იყოს, რომ მოგროვების დროს უცოდინარს გლეხებს მჟავეში უბრალო წყლებიც შეურევიათ, რომელთა წყაროები აქ, სულ ახლოს, მრავალია. მთელი სოფელი მოფენილია სულ მინერალურის წყაროებით და სასუნებლებით, სხვა წყალს ვერ იშოვით აქ მთელ სოფელში, გარდა რიონისა.

უწერიდან რვა ვერსზედ, სოფ. გომის მთაში, ყოფილა ფრიად შესანიშნავი წყარო მჟავე წყლისა, რომლითაც მარტო ცოტანი სარგებლობენ უგზოობისა გამო. ჩვენ ვნახეთ ეს წყარო. მიუახლოვდებით თუ არა, შემოგესმით მისი შუშხუნი. წყალი გამოჰქუხს შვიდ-რვა ალაგას, ერთმანერთზე ახლოს. ერთს ალაგს გვარიანად მსხვილად გამოდის და ისვრის წყალს მაღლა ერთს არშინზე. აქ მყოფმა მწყემსებმა გვიჩვენეს ადგილი, საცა ეს წყალი წინედ ამოდიოდა. მდ. გომრულას გაღმა ნაპირზედ ეხლაც აჩნევია, საცა ამოდიოდა; დღეს იმიტომ არის აგრე გაოხრებული, რომ, როგორც ზოგიერთებმა გვითხრეს, მცხოვრებლებს.გომრელებსა ლალუმით დაუმტვრევიათ წყლის გამოსავალი კლდე, რათა მოესპოთ სამკურნალო ავადმყოფებისათვის. რა უნდათ, რომ დეთრევიანო, დაგვაყენონ ჩვენთვისაო. ამაზედ მეტი ბარბაროსები, ნეტა თუ სადმე მოიძებნებიან! თუ გულის შემატკივარი არა ვინ გამოუჩნდა, წყალს სრულიად გააოხრებენ. მერე, რა წყალია,რა წყალი! უწერისაზე ბევრით უფრო მჟავეა, გაზი მეტი აქვს, უფრო მეტი გამოდის და ნაკლები ურევია რკინა. უთაურობა, თორემ აქ მშვენიერი გზატკეცილის გაყვანა შეიძლება სულ ადვილად. კავკავის გზიდან მდ. გომრულას ნაპირ-ნაპირ, თვით წყარომდის, სულ ოთხი ვერსი გზა თუ იქნება საკეთებელი და ისიც ადვილი. თუ გზის გაკეთება ეხლა შეუძლებელია, დიდად დაავალებენ ჩვენს ქვეყანას, თუ ამ მშვენიერს წყაროებს გლეხების აოხრებისაგან გადაარჩენენ.

ბ-ნი ქავთარაძე ბევრს ავალებს რაჭას (მაზრის უფროსია), და ამ წყაროს თუ გადაარჩენს,მაშინ უფრო, ჩემის აზრით, ძრიელ დავალებული იქნება მისგან რაჭაც და მთელი ჩვენი ქვეყანაცა.

ილიკო

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

„ისტორია კაცს ჭკუას არ ასწავლისო“,— ასე იწყებს დღეს გაზეთი „Русскій Курьеръ“-ი თავის მეთაურს წერილსა. ერთს ქვეყანას შეცდომა მოსდის, გამოცდილებამ ცხადად დაანახვა ყველას, რომ ამ შეცდომას ცუდი შედეგი მოჰყვაო. მერე? განა ეს შეცდომა აფთხილებს მეზობელსა? არა! პირ-იქით ესეც იმეორებს ამ შეცდომას, თუმცა წინადვე იცის, რა შედეგი მოჰყვება ამასა.

ძველი ჭეშმარიტებაა, ამბობს გაზეთი, თუმცა ეს ჭეშმარიტება, ეტყობა, ყოველთვის ახლად დარჩებაო, რომ რომელიმე ფინანსიური ღონის-ძიება, მაგალითად,ხარჯი, ახალი გარდასახადი, რომელიც ერთს სახელმწიფოში გამოცდილია კიდეც და რომლის უვარგისობა აშკარად დაუნახავთ და ამიტომ მოუსპიათ,— მეორე სახელმწიფოში შემოაქვთ, კანონად სდებენ, თუმცა სხვა ქვეყნის გამოცდილებაც არწმუნებთ და ჩქარა საქმეზე თავიანთ თვალითაც დაინახავენ ხოლმე, რომ ამ ახალს გარდისახადს ზარალის და ვნების მეტი არაფერი მოაქვსო.

სამწუხარო უფრო ის არისო, განაგრძობს გაზეთი, რომ ამგვარ უვარგისს საშუალებას ყოველთვის ხანგრძლივი სიცოცხლე აქვსო. ძალიან შორს რომ არ წავიდეთ, თუნდ შემდეგ მაგალითს მოვიყვანთ ამ აზრის დასამტკიცებლადაო.

ავიღოთ, თუ გინდა, მარილის ბაჟი— ეს მავნებელი გარდასახადი, რომელიც საშინელს ზარალს აძლევდა სასოფლო მეურნეობას და დიდს გაჭირვებას აყენებდა ღარიბ მდაბიო ხალხსა. თუმცა ეს ყველას ესმოდა და ბევრი ლაპარაკიც იყო ამაზეო, მაგრამ მაინც რამდენსამე საუკუნეს გასტანა ამ ყველასთვის გასაჭირმა და შემაწუხებელმა გარდასახადმა და მხოლოდ ამ ათიოდ წლის წინად ძლივ გაუქმდაო.

აი ან კიდევ სახელმწიფო გარდასახადი რკინის გზებზეო. ვინ არ იცის, რომ ეს გარდასახადი დიდი უსამართლობაა, სახელმწიფოს არაფერს სარგებლობას არ აძლევსო და ხალხს კი ტყუილ-უბრალოდ აწუხებს, ხელს უშლის თავისუფლად, იაფად ერთის ადგილიდამ მეორეზე გადასვლა-გადმოსვლასაო.— ესეც ხომ ყველას კარგად ესმის, მაგრამ გაივლის კიდევ ბევრი ხანი, მინამ ეს გარდასახადი სრულიად მოისპობაო.

გაზეთს კიდევ ბევრი მაგალითი მოჰყავს თავის აზრის დასამტკიცებლად. ჩვენ გაზეთს არ მივყვებით და ყველა მაგალითებს არ მოვიყვანთ აქ, მხოლოდ იმას კი ვიტყვით, რის თქმა უნდოდა გაზეთსა. ყველა ეს ისტორიული და ფილოსოფიური მოსაზრება და მაგალითები გაზეთს იმის დასამტკიცებლად მოჰყავს, რომ ახლად შემოღებული გარდასახადი დეპეშებზე დიდია, სარგებლობას არავის მოუტანს და იმათ კი, ვისაც დეპეშით მიწერ-მოწერა უჭირთ, დიდს ზარალს მისცემსო.

ახლად დაწესებული ფასი დეპეშებზე, ესე იგი სიტყვაზე 5 კაპ., მანძილის მიუხედველად, ბევრს შეღავათად და უწინდელზე იაფად მიაჩნდათო. შეიძლება შორის მანძილისთვის მართლა ცოტა შეღავათი იყოს, მაგრამ ავიღოთ შუა მანძილი, სახელდობრ 250—600 ვერსამდე, ის მანძილი, რომელზედაც, როგორც ყველამ ვიცით, უფრო მეტი დეპეშა იგზავნება,—შევადაროთ უწინდელი და ეხლანდელი ფასი დეპეშისა ამ მანძილზე და მაშინ შევიტყობთ, როდის უფრო იაფი იყო დეპეშა, უწინ თუ ეხლა.

წინად, ზემოხსენებულს მანძილზედ 15 სიტყვიანი დეპეშა ღირდა 60 კაპ., ეხლა ღირს 90 კაპ., დეპეშა, რომელიც უწინ ღირდა 30 კაპ., ეხლა 65 კაპ. ღირს, ესე იგი ერთი ორად.

ეხლა რომ ბევრს ხელი აღარ მიუწვდება, დეპეშა გაგზავნოსო, ეს, ვგონებთ, ყველასათვის ცხადიაო. და რომ არც ხაზინა იქნება მოგებაში, არც ამაშია ეჭვიო: სხვა დამტკიცებას რომ არ გამოუდგეთ, საკმაოა მოვიყვანოთ მაგალითად დასავლეთ ევროპაო. გამოცდილებამ ცხადად დაარწმუნა დასავლეთის ევროპის სახელმწიფოები, რომ დეპეშაზე და საზოგადოდ ფოსტის გარდასახადი რაც უფრო მეტია, იმდენად ხაზინას ნაკლები შემოსავალი აქვსო.

ამიტომ გაზეთი ბოლოს ურჩევს მთავრობას, ეხლავე შეამოკლოს დეპეშის ფასი და სიტყვაზე 5 კაპ. მაგიერ, 3 კაპ. დანიშნოს. ამით ხალხსაც შეღავათი მიეცემა და ხაზინაც მოგებაში იქნებაო.

ვნახოთ გასჭრის გაზეთის სიტყვა, თუ არა.

⁂

ბ-ნმა მეშჩერსკიმაც ხმა ამოიღო ბოლგარიის მთავრის ტახტიდამ გადმოყენებაზე. აი რასა სწერს თავის „Гражданинъ“-ში:

ბოლგარიის მთავრის მეფობა გათავდა და გათავდა სამარცხვინოდ.

განცვიფრებული ევროპა დარწმუნდა, რომ რუსეთის იმპერატორის სიტყვა ხუმრობა არ არის. თვით საქმეთა საკუთარმა მსვლელობამ დაუმტკიცა ეს ევროპას, რუსეთს ბოლგარიის საქმეში არაფერი მონაწილეობა არ მიუღია.

ბოლგარიის მთავარს ღირსეული სასჯელი მიეწყო. ჯერ ადრეა, მთავარი განვსაჯოთ. ვიტყვით კი, რომ მთავარმა სასჯელი მიიღო და ღირსიც იყო ამ სასჯელისა, თუმცა ცოტა შესაბრალისიც არის, როგორც გამოუცდელი, ცელქი ბაში, რომელიც ბედმა უცბად ასეთ დიდს ადგილზე დასვაო...

უფრო მეტი დანაშაულობა მიუძღვის კარაველოვსაო!

და უნდა იმედი ვიქონიოთ, რომ კარაველოვი უფრო სასტიკად და შეუბრალებლად იქნება დასჯილიო. როცა ამისთანა კაცს შეჰხვდები ხოლმე, მაშინვე ფიქრად ის მოგდის: სად არის ის სარჩობელა, რომელზედაც, დიდი ხანია, ეს კაცი უნდა ჩამოეკიდნათო?

ბოლგარიის დღევანდელს არეულობაზე ბ-ნი მეშჩერსკი ამბობს: ეს საქმე არ მოხდებოდა და და არც მთავარი ალექსანდრე დაიწყებდა თავ-გასულად ქცევასა, რომ ბოლგარიის მთავრად პირველადვე ისეთი კაცი დაგვეყენებინა, რომელიც ჩვენა გვსურდაო.

ბოლგარიასა და მთავარ ალექსანდრეს, ამ უგვანო, თავ-ქარიან ბიჭს შორის, რომელიც დიპლომატებმა გამოიყვანეს ქვეყანაში, პირველ ხანებშივე რაღაც გაუგებარი უთანხმოება ჩამოვარდაო...

საუცხოვოდ ილანძღება ბ-ნი მეშჩერსკი, თუმცა არ შეჰფერის კი მის ბრწყინვალებას.

რუსეთი

— გუშინ დაბრუნებულა საზღვარ გარეთიდამ პეტერბურგში სახელმწიფო ქონებათა მინისტრი სტატს-სეკრეტარი მ. ნ. ოსტროვსკი.

— რუსეთის სახელ-განთქმული მწერალი გრაფი ლ. ნ. ტოლსტოი, რომელიც ამ ჟამად თავის მამულში სცხოვრებს, ძალიან ავად არისო, თუმცა გრაფი ისეთის ჯან-მრთელის აგებულობისაა, რომ იმედია ჩქარა მორჩებაო. გრაფი წითელის ქარით არის ავადაო. წითელი ქარი სწორედ მაშინ შეჰხვედრია, როდესაც ახალ რომანსა სწერდა თურმე.

— ოდესსაში ამას წინედ შემდეგი სამწუხარო ამბავი მომხდარა: გემის კაპიტანის ბ-ნის რეზნიჩესკოს ქალი მისთხოვდა თურმე ბოლგარიის აფიცერს და თან გაჰყვა თავის ქმარს ბოლგარიაში. ახალ-გაზრდა ცოლ-ქმარს ბოლგარიაში ეწვიათ ქმრის ძმა, ჯერ მიემშვიდობა, მერე უეცრად დამბაჩა ამოიღო და ჯერ ქალს დასცა და მერე თითონ დაიცაო. საბრალო ქალი მეორე დღესვე გარდაიცვალაო. რა იყო მიზეზი ამ ახირებულის მკვლელობისა, არავინ არ იცისო.

— ერთის კვირის განმავალობაში ტამბოვში, გაზ. „Новое Время“-ს სიტყვით, 4 ყმაწვილი მოუკლავთ თავიანთ მშობლებსა: გლეხის გოგოს ვასილისა ალადიევას ყმაწვილი ჰყოლია, დალაბრა ცული დაუთხლეშია თავში და შემდეგ ბოსტანში ჩაუმარხავს; ყრუსა და მუნჯს ქალს ანნა ბელაევას თავისი ახალად-დაბადებული ყმაწვილი გადაუგდია მამის სახლის უკან და იქ მკვდარი უპოვნიათ. გლეხის გოგოს იუსტინია მაქსიმოვისას თავის ყმაწვილი საჭიროების ალაგში ჩაუგდია და, დასასრულ, ქალს მარიამ ვერეშჩაგინისას ქალი ჰყოლია და სირცხვილით ტბაში ჩაუგდია და ჩაურჩვია.

— ამას წინედ კონსტანტინეპოლიდამ ოდესსაში მოსულ გემზე დაუტუსაღებიათ 18 წლის ქალი ნატალია გორლანოვისა, რადგანაც საზღვარ გარეთა ყოფილა და ამის მოწმობა-კი არა ჰქონია. გორლანოვისას უამბნია: ამ შვიდის თვის წინედ ვიღაც რიგიანად ჩაცმულმა კაცმა და ქალმა მოსამსახურე-გოგოდ დამიჭირესო; შემდეგ საზღვარ გარეთ წავიდნენ და მეც თან წამიყვანესო. როდესაც კონსტანტინეპოლში მივედით, სასტუმროს ნომერში მოიწვიეს ვიღაცა კაცები და მითხრეს: ჩვენთვის ჯერ-ჯერობით საჭირო აღარა ხარ და აი ამ ბატონებთან დადექი მოსამსახურედ დროებითაო. გორლანოვისა დათანხმებულა და იმათ თათრულ სამარცხვინო სახლში წაუყვანიათ. დიდ-ხანს უარზედ ვიდექი და ბოლოს, რას გავაწყობდი, დავნებდიო და შვიდის თვის განმავალობაში საშინელს გაჭირვებაში ვიყავიო. ბოლოს მელირსა გამოქცევა და რუსეთის კონსულის შემწეობით რუსეთში წამოველიო.

— ლეტიჩევის მაზრაში, სოფ. ადამოვკაში მცხოვრებელს ლეონტი ვენგერჩუკს ჯვარი დაუწერია სამსახურიდგან დათხოვნილის ჯარის-კაცის მუდრიკას ქალს სტეფანიდაზე, რომელიც შეხედულობით ძალიან ლამაზი იყოვო. წარმოიდგინეთ ვენგერჩუკის გაკვირვება, როდესაც უნახავს, რომ იმისი ცოლი ქალი კი არა, ქალ-ბიჭა ყოფილა. ვენგერჩუკს ქაღალდი შეუტანია, სადაც ჯერ არს, და უთხოვნია, რომ ჩვენი ქორწინება უკანონოა და ამიტომ განგვაქორწინეთო. ამ თხოვნის გამო განკარგულება მოუხდენიათ, რომ გასინჯეთ ჯარის-კაცის მუდრიკას ყველა ოჯახის წევრიო. მუდრიკას ამ გათხოვილის ქალის გარდა, ერთი ვაჟი და სამი ქალი კიდევ სხვა ჰყოლია. გაუსინჯავთ და მართლა აღმოჩენილა, რომ ორი უმცროსი ქალიც ქალ-ბიჭები ყოფილან.

უცხოეთი

ბოლგარია. „ჰავასის სააგენტოს“ 12-ს აგვისტოს სტამბოლიდამ სწერენ: «გაიგეს თუ არა სოფიაში, რომ ალექსანდრე მთავარი ტახტიდამ ჩამოაგდესო, დიდ ძალი ხალხი შეიკრიბა რუსეთის საკონსულოს წინ და სთხოვდნენ, რომ ხელმწიფე იმპერატორმა მფარველობა აღმოუჩინოს ბოლგარიასაო. რუსეთის კონსულმა უთხრა, რომ მაგ თქვენს თხოვნას დეპეშით მოვახსენებ მის უდიდებულესობასაო. პატარა ხნის შემდეგ რუსეთის დიპლომატიის აგენტთან გამოცხადდნენ ახალის მართებლობის წარმომადგენელნი და სთხოვეს, მოახსენე ხელმწიფე იმპერატორს, რომ ჩვენ მისი ერთგულნი ვართო. ზოგი გაზეთები ამასაც უმატებენ, რომ როცა დროებითის მართებლობის წევრნი მოვიდნენ აგენტთანაო, ხალხმა დაიჩოქა და მაღალის ხმით ქებათა-ქებას უძღვნიდნენ ხელმწიფე იმპერატორსაო.»

— ბოლგარიის არეულობაზე ცანკოვის გაზეთ „სვეტლინაში“ აი რა სწერია: „პრინცი ბატენბერგი აღარ არის ბოლგარიის მთავრად. დღეს, 9-ს აგვისტოს, დილით ადრე, ხალხი და ჯარი შეიყარა სასახლის გარშემო, გაუგზავნეს მთავარს დეპუტაცია, რომ ტახტს თავი დაანებეო. მთავარმა შეატყო, რომ მისი ბოლგარიაში დადგომა აღარ შეიძლება და მოაწერა ხელი უარ-ყოფის ქაღალდზე. ეს სამხიარულო ამბავი ცეცხლივით მოედო ხალხსა; ხალხი მეიდანზე გავიდა და ერთმანერთს ულოცავდა ამ სასიამოვნო ამბავსა. დილითვე მოჰხდა კრება; კრებაზედ სიტყვები წარმოსთქვეს ცანკოვმა, ნაჩოვიჩმა, ბრუცკანოვმა, მაკედონსკიმ და პოლკოვნიკმა კეტსიაკოვმა და ულოცავდნენ ხალხს მტრის გაძევებას ბოლგარიიდამ. «ვაშა, ვაშას!» ყვირილით სადიდებლად ბოლგარიის ერისა, მამაცის ჯარისა, რუსეთის ხელმწიფისა და რუსეთის ერისა ხალხი წავიდა ეკკლესიაში სამადლობელი პარაკლისის გადასახდელად ; აქ მიტროპოლიტმა კლიმენტიმ შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა. ეკკლესიიდამ წავიდნენ რუსეთის კონსულის სადგომთან და აქ შესთხოვდნენ, გვიშუამდგომლეთ ბოლგარიის განმათავისუფლებლის და მფარველის წინაშე, რათა ამ ჟამად დაგვეხმაროსო. ამ დროს ხალხი დაჩოქილი იყო. ბ-ნ ბოღდანოვმა უთხრა, რომ რუსეთს ბოლგარია არას დროს არ დაუვიწყნია, არც ამ ჟამად დაივიწყებს და შემწეობაზე უარს არ ეტყვისო. რუსეთის წარმომადგენელის სიტყვების შემდეგ ხალხმა ერთ ხმივ შეჰყვირა: „ვაშა, ვაშა!“

— «Berlin. Tagebl»-ში დაბეჭდილია პროკლამაცია, რომელზედაც საერო კრების პრეზიდენტს ბ-ნ სტამბულოვს და რუმელიის მილიციის უფროსს მუშკუროვს უწერიათ ხელი: „ალექსანდრე მთავარის და ერის წარმომადგენელთა სახელითა საყოველთაოდ გიცხადებთ, რომ მე ვიკისრე დროებითი მმართველობა ბოლგარიისა და ვინც არ დაემორჩილება კანონიერს ბრძანებას, სასტიკს პასუხის გებაში მიეცემა ჩემ-მიერ. მთავარ-სარდლად ჯარისა ვნიშნავ მუშკუროვს და ამასვე ვაბარებ სამოქალაქო და სამხედრო გამგეობას ბოლგარიისასა; ვავალებ ყველას, რომ მის განკარგულებას ემორჩილებოდნენ. ვსთხოვ ბოლგარიის ხალხს, დაიცვან სახელმწიფო ტახტი და სამშობლო იმ მოღალატეებისაგან, რომელთაც ჰსურდათ განძევება ბოლგარიიდამ ჩვენთვის თავ-განწირულის და საყვარელის მთავრისა. ვსთხოვ ყოვლად-შემძლებელს განამტკიცოს მარჯვენე ერისა და ჯარისა, რათა მოგვცეს ჩვენ შეძლება დავიფაროთ ხალხის მიერ აღმორჩეული, ჩვენი საყვარელი მთავარი. გაუმარჯოს ალექსანდრეს, მთავარს ბოლგარიისას!“

— ამავე გაზეთს სწერენ დარმშტადტიდამ 13-ს აგვისტოს: „პრინცს ალექსანდრეს გესსენისას, ბოლგარიის მთავრის მამას, შემდეგი ცნობანი მიუვიდა თურმე თავის შვილის შესახებ: «ალექსანდრე მთავარი ძმით ფრანც-იოსებ ბატენბერგელით 12-ს აგვისტოს სარუსეთოში გავიდა. გემის უფროსმა დეპეშით აცნობა სოფიაში, ახლა საით წავიდეთო, მაგრამ ამ დროს რევოლიუციური მართებლობა გადააყენეს და ახალმა მთავრის მომხრე მართებლობამ შეუთვალა, რომ დაუყოვნებლივ უკან დაბრუნდით სოფიაშიო. სოფიიდამ აი რა მისწერეს: «რევოლიუციონური მართებლობა გადააყენეს, კარაველოვი, სტამბულოვი და ნიკიფოროვი დაითხოვეს. ახალი მართებლობა შეადგინეს სტოილოვმა, გეშოვმა და პანოვმა; მთელს ჯარს მთავრის მხარე უჭირავს, ხალხში მშვიდობიანობაა.» ახალმა აღმოსავლეთ რუმელიის მართებლობამ პოლკოვნიკის მუშკაროვის წინამძღომლობით მისწერეს პრინცს ალექსანდრე გესსენისას, დაარწმუნეთ თქვენი შვილი, მთავარი ალექსანდრე ბოლგარიისა, რომ კვლავ დაბრუნდეს თავის ქვეყანაში, სადაც მას აღტაცებით მიიღებენ. ტირნოვიდამ და ფილიპოპოლიდამ გაგზავნეს ერის წარმომადგენელნი ალექსანდრე მთავართან, რომ ეთხოვნათ, რათა უკან დაბრუნებულიყო. ვიდდინიდამაც წავიდა დეპუტაცია სათხოვნელად, რომ დაბრუნებულიყო. დეპუტაციას თან გაჰყვა სასახლის ეკკლესიის მქადაგებელი პასტორი კოხიო.“

— ლონდონელი კორრესპონდენტი გაზეთ „Indépendance Belge“-სი გვაუწყებს, რომ ლორდს იდდესლეის, ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრსა და მის ამხანაგებს განუწყვეტელი მოლაპარაკება აქვთ ბოლგარიის არეულობის გამო. ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრს მოლაპარაკება ჰქონდა აგრეთვე საბერძნეთის ელჩთან ბ-ნ გენნადიუსთან და ოსმალეთის რუსტემ-ფაშასთან. ინგლისის სამინისტროს წარმომადგენელნი მოეშურებიან ლონდონში, რადგანაც მოსალოდნელია, რომ ბოლგარიის საქმეებისა გამო ხალხთა-შორებრივი მოლაპარაკება გაიმართოსო.

— «ჰავასის სააგენტოს» სწერენ ბუქარეშტიდამ 12-ს აგვისტოს: შუმლინისა და ტირნოვის მეციხოვნე ჯარებმა მთავრის მხარე დაიჭირეს; დროებითის მართებლობის წინააღმდეგნი გახდენ ვიდდინის, ნიკოპოლის და სილისტრიის ჯარებიცა. რუმელიის მილიციის უფროსმა პოლკოვნიკმა მუშკაროვმა სთქვა, რომ ჯარის შეწევნობით მთავარი სოფიაშივე დავაბრუნოთო. კრების პრეზიდენტი სტამბულოვი თანხმა გაუხდა მუშკაროვსა. სტამბულოვმა შეჰყარა ბოლგარიის მილიცია და გამოუცხადა, რომ სოფიის ჯარი, რომელმაც არეულობა მოახდინა, თანხმაა იარაღი აიყაროს, თუ აპატიებენ დანაშაულსაო.

— ადრიანოპოლიდამ ნემეცურს გაზეთებს ატყობინებენ, რომ ფილიპოპოლის ჯარი აღელდა და ალექსანდრე მთავარს თხოულობსო. ჯარი მივიდა კონსულების სადგურებთან და მათმა უფროსმა გამოუცხადა, რომ ჯარი წინააღმდეგია ახალის მართებლობისა და მზად არის იბრძოლოს და თავი დასდოს ტახტიდამ გადაყენებულის მთავრისათვისაო. სოფლებიდამ გლეხ-კაცობა მოდის და თავის სიყვარულს და ერთგულებას უცხადებს მთავარსაო.

— «Новости» ამბობს: როცა რუმინიაში გაიგეს ალექსანდრე მთავრის ტახტიდამ გადაყენების ამბავი, შესწუხდნენ და თანაგრძნობა გამოუცხადეს მთავარსაო. გაზეთები, ასე გასინჯე ოფიციალურებიც კი, ქება-დიდებით იხსენიებენ ბოლგარიის მთავრის პოლიტიკასაო. ზოგი გაზეთები კი ამბობენ, მთავარს იმიტომ შეემთხვა ეს საქმეო, რომ ვერ მიხვდა ბოლგარიის ერის აზრსაო; ერი თანაუგრძნობს რუსეთსაო.

* * *

დეპეშა

22 აგვისტოს

ნოვგოროდი. გუშინ საღამოს შვიდს საათზე მდ. ოკის შესართავში, ნავთ-სადგურების პირ-და-პირ გაჭრის ივნატიჩევის გემზე „ანნა“-ზე გასკდა ორთქლის ქვაბი. მემაშინე, მისი თანაშემწე და კიდევ ორი მათი მომხმარებელი მუშა-კაცი მოკვდა, ამათ გარდა გემის მოსამსახურეთა შორის კიდევ სხვა რვა კაცი დაიჭრა და დაშავდა.

ირმუკაზე გაჭრობა ზოგიერთის საქონლისა, რომელიც ნარდად და ბლომად იყიდება, უკვე თავდებაო; გაჭრობაში უფულობასა და ქესატობას უჩივიანო.

* * *

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპვ (1886) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7394**.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—ჳფო=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მბ=42 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1886 წლის ზედ-ნადები—3.

აგვისტო 31 დღით არის

23 დღე შაბათი. მოწ. ლუპპასი, ირინე ლიონის ეპისკ. კათოლ. წმ. ალმსარ. ფილიპპე ბენიციელისა. სომეხ. ნახატონაქი. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—58—55. ტფილისში მზე ამოდის 5—28, ჩადის 6—30; მთვარე ამოდის 12—11, ჩადის 10—12.

24 დღე კვირა. მღვ.-მოწ. ევტიხა. კათოლ. წმ. მოციქ. ბართლომესი. სომეხ. ნახატონაქი. მუსულ. მოწ. სიკვდ. იმამის ბაგირასი (შიიტებისა). ჭეშმარიტი შუა-დღე 11—58—35. ტფილისში მზე ამოდის 5—29, ჩადის 6—28; მთვარე ამოდის 1—11, ჩადის 10—55.

25 დღე ორშაბათი. წმ. მოციქ. ბართოლომესი. კათოლ. წმ. ალმსარ. ლუდვიგისა კორსიკანელისა. სომეხ. ნახატონაქი. მუსულ. ეიმ-ულ-თერვია, აბრაამი ჰფიქრობს შვილის ისმაილის მსხვერპლად შეწირვას. დაპყრობა აღმოსავლეთის კავკასიისა. შამილის დატუსაღება 1859 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—58—15. ტფილისში მზე ამოდის 5—30, ჩადის 6—27: მთვარე ამოდის 2—6 ჩადის 11—43.

26 დღე სამშაბათი. წმ. მოწამეთა ანდრიანესი, ნატალიასი, კათ. ღვთის მშობლის მამის იოაკიმისა, სომეხ. წმ. იოაკიმისა და ანნასი. დაწესება ზარაფხანასი საქართველოში 1802 წელსა. ჭეშმარიტი შუადღე 11—57—55. ტფილისში მზე ამოდის 5—31; ჩადის 6—25. მთვარე ამოდის 2—56, ჩადის 12—0.

* * *

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

2 ივლისიდამ 1-ლ აგვისტომდამ.

თეთრი პური რუსული 1 გირ.	5 კაპ.
წითელი პური 1-ის ხარისხისა .	2½
» » 2 »	2 »
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	4½ »
» » 2—	3 »
» » 3 »	2½ »
ჯვარის მამის პურის ლავაში	
1-ლის ხარისხისა . .	4½ »
მე-2 ხარისხისა . .	3½ »
მე-3 — . . .	3 »
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	7 »
« » 2	6 »
სუკი	12 »
ცხვრის ხორცი . . .	6 »

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ:

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუადღ. მოკლე გზით, რადგან მარტო ნოვოროსიისკს და კერჩში შეივლის შორის გზით. შაბათობით 8 საათ. საღამოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობათ საღამოთი სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს შორის გზით, მოკლეს გზით—დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

სტანციები	მოდის		გადის		სტანციები	მოდის		გადის	
	საათ.	წამი.	საათ.	წამი.		საათ.	წამი.	საათ.	წამი.
	დილით					დილით			
ტფილისი	—	—	8	35	**ბათუმი**	—	—	8	35
ავჭალა	8	52	8	55	ქობულეთი	9	25	9	28
მცხეთა	9	13	9	21	ნატანები	9	54	9	57
ქსანი	9	39	9	41	სუფსა	10	21	10	27
კასპი	10	6	10	9	ლანჩხუთი	11	—	11	3
გრაკალი	10	29	10	31	ნიგოითი	11	14	11	16
გორი	10	54	11	4	საჯავახო	11	39	11	41
ქარელი	11	33	11	36	**სამტრედია**	11	56	12	15
გომი	12	—	12	4	კოპიტნარი	12	35	12	37
ხაშური	12	21	12	41	რიონი	1	7	1	20
სურამი	12	53	12	56	აჯამეთი	1	32	1	34
ფონი	1	24	1	27	**ჟვირილა**	2	11	2	26
ბეჟათუბანი	2	14	2	34	ძირულა	3	4	3	6
მარელისი	3	3	3	5	ბელოგორი	3	33	3	36
ბელოგორი	3	32	3	35	მარელისი	4	3	4	5
ძირულა	4	2	4	5	ბეჟათუბანი	4	34	4	54
ჟვირილა	4	43	4	58	ფონი	5	41	5	44
აჯამეთი	5	35	5	37		საღამოთი			
	საღამოთი				სურამი	6	12	6	15
რიონი	5	49	6	4	**ხაშური**	6	27	6	42
კოპიტნარი	6	34	6	36	გომი	6	59	7	3
სამტრედია	6	56	7	16	ქარელი	7	27	7	30
საჯავახო	7	31	7	33	**გორი**	7	59	8	9
ნიგოითი	7	56	7	59	გრაკალი	8	32	8	34
ლანჩხუთი	8	10	8	14	კასპი	8	54	8	57
სუფსა	8	47	8	55	ქსანი	9	22	9	24
ნატანები	9	19	9	22	მცხეთა	9	42	9	48
ქობულეთი	9	48	9	51	ავჭალა	10	6	10	8
ბათუმი	10	41	—	—	**ტფილისი**	10	25	10	55

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 20 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 15 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 30 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 20 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

	დილით					ღამით			
ტფილისი	—	—	3	15	სურამი	—	—	2	35
ავჭალა	3	38	3	41	**ხაშური**	2	47	3	2
მცხეთა	4	6	4	16	გომი	3	26	3	31
ქსანი	4	42	4	45	ქარელი	4	5	4	12
კასპი	5	20	5	25	**გორი**	4	53	5	8
გრაკალი	5	53	5	56	გრაკალი	5	40	5	45
	საღამოთი					დილით			
გორი	6	28	6	43	კასპი	6	13	6	19
ქარელი	7	24	7	29	ქსანი	6	54	6	57
გომი	8	3	8	7	მცხეთა	7	23	7	33
ხაშური	8	31	8	46	ავჭალა	7	58	8	1
სურამი	8	58	—	—	**ტფილისი**	8	24	—	—

განცხადებანი

ახალი წიგნი

(რუსულს ენაზედ)

„კერძო და სადგილ-მამულო უფლებანი ძველს საქართველოში“. I გამოცემა ფასი 35 კაპ. ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში. (50—10)

ბიბლიოგრაფიული განცხადება

დაიბეჭდა

რობინზონ კრუზე, თხზულება დეფოესი, თარგმანი რუსულიდგან ანასტასია თუმანიშვილისა. გამოცემა „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა.“

ფასი ექვსი შაური

საწყობი წიგნისა არის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების კანცელარიაში, ბანკის ქუჩაზე (Банковскій переулокъ), სახლის № 23. ისყიდება ტფილისში: გრიქუროვისა და ჩარკვიანის წიგნთა მაღაზიებში; ქუთაისში—ძმათა ჭილაძეების და ხონში—ნესტორ წერეთლის წიგნთა მაღაზიებში. ვინც ნაღდ ფულზედ იყიდის თვით საზოგადოების კანცელარიაში არა ნაკლებ 10 ცალისა, იმას დაეთმობა წიგნი ხუთ შაურად.

ყრმათა საკითხავი ჟურნალი

„ნობათი“

პედაგოგიური დამატებით მშობელთა და აღმზრდელთათვის.

1884-სა და 1885 წლის ყველა წიგნები, 17 № (10 წიგნი) ერთად ღირს—ქალაქში 3 მანათი, ქალაქს გარეთ გაგზავნით 3 მან. და ათი შაური. ათი შაური შეიძლება მარკებით გამოიგზავნოს. ადრესი: Тифлисъ. А. С. Гуладзе, Сололаки Фрейлинская, 7.

ისყიდება მოსე ჯანაშვილის-მიერ შედგენილი წიგნები:

საქართველოს მოკლე ისტორია

ფასი 60 კაპ.

(ეს წიგნი უმაღლესის მთავრობისაგან მოწონებულია).

საქართველოს საეკლესიო ისტორია

ფასი 45 კაპ.

მერცხალი

ფასი 7 კაპეიკი.

შემდეგს ადგილებში: ტფილისში: გრიქუროვისა და ჩარკვიანის წიგნის მაღაზიებში და აგრეთვე შემადგენელისას. ქუთაისში: გჭილაძის მაღაზიაში. თელავში: ვ. როსტომაშვილთან; **სიღნაღში:** ვ. ქიტიაშვილთან; **სურამში:** ა. ქარსიძესთან; **ფოთში:** ხუმარაძესთან. **ჟვირილაში** ბლად. ღამბაშიძესთან.

ვინც 20 ცალს «ა» გამოცემისას დაიბარებს პირ-და-პირ გამომცემლისაგან (Тифлисъ Михайл. ул, Г. Д. Картвелишвили). იმას წიგნი დაეთმ [illegible] შაურად.

დაიბეჭდა და ისყიდება გრიგ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში მეთოდიური სახელმძღვანელო სამშობლო ენის შესასწავლებლად“, შედგენილი ა. ნათაძისაგან. ფასი 20 კაპეიკი

„თეატრი“

საყოველ-კვირაო ლიტერატურული გაზეთი განაგრძობს მეორე ნახევარის წლის ხელის მოწერას.

წლიური ფასი . . . . 5 მან.
ნახევარ წლიური . . . 3 მან.

სხვა გვარად ხელის-მოწერა არ მიიღება.

ხელის-მოწერა და განცხადებები მიიღება მხოლოდ ქ. თბილისში—რედაქციის კანტორაში, არწრუნისეულ ქარვასლაში, № 110.

ქალაქ გარეთ ხელის-მომწერთ ამ ადრესით შეუძლიანთ დაიბარონ გაზეთი: Тифлисъ, Въ редакцію газеты „Театръ“

რედაქტორ-გამომცემლის მაგიერი
ვ. გუნია.

Дозволено цензурою. Тифлисъ 22 августа, 1886 года. სტამბა გ. მელიქიშვილისა, არწრუნისეულ ქარვასლაში №№ 26, 27, 28. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.